რწმუნებულება

ორიათას თოთხმეტი წლის 29 მაისი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „N&R COMSTRUCTION“ ს/კ404470309, მისამართი ქ. თბილისი დ.აღმაშენებლის გამზ №140 (შემდეგში „მარწმუნებელი„) მისი დირექტორის აბდულ აბდულაევის სახით მიანიჭა მერაბ გიორგობიანს (დაბადებული 1967 წლის 15 ნოემბერს, მცხოვრები ქ. თბილისი, ტოლსტოის ქ. № 4. პირადობის მოწმობა № ბ1404919; პ/ნ 01018002412 გაცემული სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს დიდიუბე-ჩუღურეთის სამსახურის მიერ 2010 წლის 11 ნოემბერს. (შემდგომში „რწმუნებული„) შემდეგი უფლებამოსილება:

რწმუნებული უფლებამოსილია იყოს შპს „ N&R COMSTRUCTION “-ის წარმომადგენელი სახელმწიფო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, ადგილობრივ თვითმმართველობებში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან) ურთიერთობისას, საჯარო რეესტრში, ქ. თბილისის მერიაში, საექსპერტო ბიუროში, სანოტარო ბიუროში, საგადასახადო ინსპექციაში, ასევე ნებისმიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში. აღნიშნული რწმუნებულების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა, რაც დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის მარწმუნებლის სახელით შეიტანოს განცხადება ნებისმიერ ადმინისტრაციულ ორგანოში, მათ შორის ნებისმიერ კერძო სამართლის და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან, მიიღოს წერილობითი და სიტყვიერი ინფორმაცია და დოკუმენტები, გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერები ამ მასალებიდან. გადაიღოს ასლები, მიიღოს დოკუმენტები, განაცხადოს აცილება. წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას სახელმწიფო ორგანოებს და საჯარო დაწესებულებებს, მათ შორის როგორც კერძო ისე საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, მოწმეებს, სპეციალისტებს, ექსპერტებს. გასცეს წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტებანი. წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები, შეცვალოს, გაასაჩივროს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს საჩივარი. ასევე რწმუნებული უფლებამოსილია მარწმუნებლის სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება და პროცედურა ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში, შეიტანოს განცხადება, მიიღოს წერილობითი და სიტყვიერი ინფორმაცია, ამონაწერები საჯარო რეესტრიიდან.

არავიან არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ ემსახურება მარწმუნებლის მიერ გაცემული დავალების მიზნებს.

რწმუნებული ვალდებულია რწმუნებულებით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით. მარწმუნებელს მიაწოდოს ცნობები დავალების მიმდინარეობის შესახებ, შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში.

რწმუნებულება გაცემულია ერთი კალენდარული წლის ვადით და ძალაშია მხარის მიერ რწმუნებულების ხელშეკრულების სრულ მოშლამდე.

წინამდებარე რწმუნებულება შედგენილია 2 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლიარად,

მარწმუნებელი: შპს „N&R COMSTRUCTION“ დირექტორი

აბდულ აბდულაევი ---------- მ.ა.

შპს „N&R CONSTRUCTION“ * N&R * 404470309 * N&R CONSTRUCTION LTD *